

დასკვნა

პირველი ქართული რესპუბლიკის არსებობის პერიოდი ფრიად ხანმოკლე იყო. პირველი მსოფლიო ომის ფერფლისა და და რუსეთის იმპერიის ნამტვრევებისგან აღმდგარმა ქართულმა სახელმწიფომ არასრულ სამ წელიწადს გაძლო. ისტორიისთვის ეს მხოლოდ მოკლე წამია. და ამის მიუხედავად არ უნდა იყოს გაზვიადება იმის თქმა, რომ 1918 წლიდან 1921 წლამდე პერიოდმა ძველი ქართველი ხალხის ისტორიაში ახალი ხანა გახსნა. ეპოქა, რომელიც შეწყვიტა სამოცდაათწლიანმა საბჭოთა ოკუპაციამ და ანექსიამ, მაგრამ დღემდე გრძელდება 1991 წლის 9 აპრილს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ.

თავისი არსებობის თვეების განმავლობაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა იყო ოთხი საერთაშორისო ხელშეკრულების მონაწილე ქვეყანა და სამი საერთაშორისო ხელშეკრულების სუბიექტი. ამის გარდა, ქართველმა დიპლომატებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს კიდევ ორი საერთაშორისო შეთანხმების პრობების განხილვაში, რომელთაგან ერთი პირველი მსოფლიო ომის დამთავრებისას დადებული ოთხი უმნიშვნელოვანესი ხელშეკრულების რიცხვში შევიდა (სევრის ხელშეკრულება). ამასთან საქართველო სამხრეთ კავკასიის 1918 წელს შექმნილი სამი სახელმწიფოსგან ერთადერთი აღმოჩნდა, რომელმაც დასავლეთის დიდი წამყვანი სახელმწიფოების მხრიდან დე-იურე აღიარების მიღწევა შეძლო.

როგორი გაკვეთილი შეიძლება გამოვიყვანოთ ზემოთ მოხსენიებული სავალალო მოვლენებისგან? პირველ რიგში, იმის გაგება, რომ სხვადასხვა დიდი სახელმწიფოების ინტერესების გზაჯვარედინზე განლაგებული პატარა სახელმწიფოს არსებობის შენარჩუნებისთვის ელიტებისა და მასების პოლიტიკური ნების, ასევე დაცვის სამხედრო და ეკონომიკური საშუალებების არსებობის გარდა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია უფრო ძლიერ მოთამაშეთა შორის მანევრირების, ასევე მუდმივად ცვლადი გეოპოლიტიკური გარემოებისგან დამოკიდებულებაში სიმტკიცისა და დამთმობლობის შერწყმით უახლოეს მეზობლებთან მოლაპარაკების უნარი. არა ნაკლებ მნიშვნელოვანია არა ყოველთვის და არა ყველასთვის გასაგები ჭეშმარიტების შეცნობა: იმისთვის, რომ პატარა სახელმწიფოს უფრო მძლავრი დიდი სახელმწიფოების

დახმარება და მფარველობა ჭირდება, არც ერთი ეს დიდი სახელმწიფო არ შეეღებოდა თავის ძირითად ინტერესებს საქართველოსთვის და არ დაიწყებს ქართული პრობლემების გადაწყვეტას თვით ქართული საზოგადოებისა და მისი მთავრობის მაგიერ. ამასთან „დიდ საჭადრაკო დაფაზე“⁷³¹ წარმატების მისაღწევად აუცილებელია განკარგულებაში პროფესიულად მომზადებული და თავისი საქმისა და თავისი ქვეყნის ინტერესებისთვის თავდადებული დიპლომატების კორპუსის ყოლა, რომლებმაც, სხვა ყველაფრის გარდა, ჯერ არს იცოდნენ მათი, ვინც წარსულში (კერძოდ, პირველი რესპუბლიკის არსებობის წლებში) მათ ადგილზე იყო წარმატებების და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, შეცდომების⁷³² შესახებ და ისწავლონ ამ შეცდომებზე, მათი გამეორების თავიდან აცილებისთვის.

⁷³¹ ზბიგნევ ბჟეზინსკის ცნობილი გამოთქმა

⁷³² ის, რომ შეცდომები მეტი იყო, ვიდრე წარმატებები, დასტურდება 1921 წლის გაზაფხულზე პირველი რესპუბლიკის დაცემით და ასევე იმით, რომ 1920 წლის შუა ხანებთან შედარებით საქართველო არსებითად შემცირდა ტერიტორიულად.